

ქართული ჰიმნოგრაფია

ნესტან სულავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1997), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

რეზიუმე: სტატია ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ეტაპებს, სკოლებს და მისი კვლევის ისტორიას წარმოაჩენს რამდენიმე მიმართულებით: ფორმის, მუსიკის, საღვთისმეტყველო, ლიტერატურულ-ისტორიული, სიმბოლურ-სახეობრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით. გამოყოფილია პალესტინურ-სინური, ტაო-კლარჯეთის, ათონის, გელათის, შიომღვიმის, დავით გარეჯისა და მცხეთის საკათალიკოსოს, კერძოდ ანტონ კათოლიკოსის, საღვთისმეტყველო-ჰიმნოგრაფიული სკოლები, რომელთაც განსაზღვრეს ჰიმნოგრაფიის განვითარების ეტაპები, დონე და მიმართულებები საქართველოში. ქართული ჰიმნოგრაფია თავისი თემატიკით, მსოფლმხედველობით, სახისმეტყველებით ბიზანტიურთან მჭიდრო კავშირში იყო, რის გამოც იგი ბიზანტიური სამგლობლო კულტურის კონტექსტშია გააზრებული. წარმოდგენილია ქართული და ბიზანტიური საგალობლის მუსიკალურობისა და პოეტიკის განსხვავება, რაც ქართული გალობის მრავალხმიანობასა და საგალობლის ფორმის ორიგინალობაში გამოვლინდა. სტატია სახავს ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიისა და თეორიის საკითხების ახალი თვალთახედვით კვლევის პერსპექტივებსაც.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰიმნოგრაფია, უძველესი იადგარი, ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლა, ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლა

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ განვითარების რთული და გრძელი გზა განვლო. ჩვენამდე შემონახულია როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული თხზულებები. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ საკუთრივ ქართული და ბიზანტიური მწერლობის ისტორიისათვის. ქართულ ენაზე მოგვეპოვება ისეთი ნათარგმნი

ჰიმნოგრაფიული თხზულებები, რომელთა დედნები დღეს დაკარგულად ითვლება.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ქართული ჰიმნოგრაფია VI ს-დან იწყება. ქართული ჰიმნოლოგიის ისტორიას კი ჯერ კიდევ X-XII სს. დაედო სათავე მიქაელ მოდრეკილის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მემკვიდრეობაში [26; 14; 15]. XX ს. ჰიმნოლოგიაში განისაზღვრა კვლევის სფეროები: საგალობელთა შემცველი ხელნაწერების აღწერა და კატალოგიზაცია; კოდიკოლოგიურ საკითხთა შესწავლა; ჰიმნოგრაფიული თხზულებების პუბლიკაცია ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის გათვალისწინებით; ჰიმნოგრაფიის განვითარების ეტაპებისა და ჰიმნოგრაფიული სკოლების დამსახურების განსაზღვრა, ჰიმნოგრაფიული კრებულების კლასიფიკაცია, ჰიმნოგრაფიული ლიტურგიკული ტერმინების დადგენა, ჰიმნოგრაფიის როლის განსაზღვრა საღვთისმეტყველო-ლიტერატურული აზროვნებისა და საეკლესიო გალობის ისტორიაში, საგალობელთა პოეტიკისა და სიმბოლური აზროვნების შესწავლა.

პუბლიკაციები. ქართულ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა გამოცემებიდან უნდა აღინიშნოს: ათონის კრებული [1], ძველქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა [2], ძლისპირნი [10], ჭილ-ეტრატის იადგარი [11], XVII-XVIII ქართული პოეზიის ისტორიიდან [8], უძველესი იადგარი [7], ნევემირეული ძლისპირნი [5], იოანე მინჩხის პოეზია [4], ქებად და დიდებად ქართულისა ენისა [9], XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია [6], გიორგი მთაწმიდელის „თვენი“, სექტემბრის თვის მასალა [13].

ქართული ჰიმნოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპი იყო ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის სამეცნიერო მივლინება სინას მთისა და იერუსალიმის სკრიპტორიუმებში. მათ დაიწყეს აქ დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლა, რომელთა უმეტესობა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულია. მათი შედგენილი აღწერილობების სამეცნიერო ღირებულება ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა ტექსტების გამოქვეყნებამაც განსაზღვრა, რადგან სინურ ხელნაწერებში დაცულ საგალობელთა ნაწილის გაცნობა პირველად სწორედ ამ წიგნებით გახდა შესაძლებელი [3; გვ. 14].

ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კ. კეკელიძეს. მისი ყურადღება სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე მიიპყრო ქართულ წიგნთსაცავებში დაცულმა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულმა ხელნაწერებმა. მან თავისი კაპიტალური შრომებით მკვიდრი საფუძველი მოუშადა მეცნიერული ჰიმნოლოგიის განვითარებას, ქართული ჰიმნოგრაფიული და ლიტურგიკული თხზულებების მეცნიერულ კვლევა-ძიებას. გამოავლინა და გამოსცა მრავალი ქართული თუ ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნოგრაფიული ძეგლი, ახსნა მრავალი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ტერმინი, დასახა გზები მომავალი ჰიმნოლოგიური კვლევისათვის [26; 30]. კ. კეკელიძის შრომებმა ქართულენოვანი საგალობლების თავისთავად ღირებულებასთან ერთად განსაზღვრეს ქართულ ხელნაწერებში შემონახული ადრეუბიზანტიური ჰიმნოგრაფიული თხზულებების თარგმანთა მნიშვნელობა, რადგან მათი ნაწილი ბერძნულში დაკარგულია.

პ. ინგოროყვამ ჰიმნოლოგიური საკითხების თავისი კვლევის შედეგებს თავი მოუყარა მონოგრაფიაში *გიორგი მერჩულე*. პრობლემის მისეული განხილვა და დასკვნები საკამათოა. თუმცა, ჰიმნოგრაფიის მიმართ ინტერესი გააქტიურდა [2; 23]. ა. გაწერელიამ შეისწავლა ქართული კლასიკური საგალობლის ვერსიფიკაციის, პოეტიკის, პოეტური მეტყველების საკითხები [16]. გ. იმედაშვილმა კვლევა წარმართა ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური მეტყველებისა და პოეტიკის პრობლემის მიმართულებით [22]. კ. კეკელიძისა და პ. ინგოროყვას ჰიმნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, ჰიმნოგრაფიის ფორმისა და შინაარსის საკითხთა კვლევის საფუძველზე თანამედროვე ქართულ ჰიმნოლოგიაში სამი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომელთა მიზნად იქნა დასახული: 1. საგალობელთა შემცველი ხელნაწერების დეტალური აღწერა, გამოცემა, ჰიმნოგრაფიული ტექსტებისა და კრებულების რედაქციული შესწავლა, საგალობელთა სტრუქტურისა და ფორმის საკითხების კვლევა, რაც, ძირითადად, ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს; 2. საგალობლის სტრუქტურის, კომპოზიციის, თემატიკის, მოტივების, ჰიმნოგრაფიის

სახისმეტყველების კვლევა; 3. საგალობლის მუსიკალური ბუნების კვლევა.

ჰიმნოგრაფია თავისი ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით ორგვარია: ლიტურგიკული, რომელიც ღვთისმსახურებაში გამოიყენება, და არალიტურგიკული, რომელიც ღვთისმსახურებაში არ გამოიყენება, იგი მხოლოდ საკითხავადაა განკუთვნილი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ისეთი თხზულებები, რომლებიც საღვთისმეტყველო პრობლემატიკას ასახავენ, დაწერილია პოეტური, მეტწილად, იამბიკოს ფორმით, თუმცა, პოეტური თხზულება არაა. ყოველდღიური საღვთისმსახურო პრაქტიკა თანდათანობით იხვეწებოდა და იცვლებოდა, რაც ყველაზე მეტად ლიტურგიკულ ხელნაწერებს ეხებოდა. ყველა სამონასტრო ცენტრი საერთო ტიპიკალურ წესებთან ერთად თავის ადგილობრივ ტრადიციებსაც ემყარებოდა და ასახავდა ამ მონასტრის სკრიპტორიუმში გადაწერილ ხელნაწერში. ლიტურგიკულ პრაქტიკაში ცვლილებების შეტანა ღვთისმსახურებაში მიმდინარე ახალი მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობდა. ცხადია, იცვლებოდა საგალობელთა რეპერტუარიც.

რა შესძინა ქართულმა ჰიმნოგრაფიამ ქართულ სააზროვნო სივრცეს ლიტურატიურისა და მუსიკის სფეროში? ქრისტიანულ ტაძრებში თავდაპირველად ფსალმუნები იგალობებოდა. V ს-ში ღვთისმსახურებაში გალობის როლი გაიზარდა და შეიქმნა მონოტროპარები. ჩვენამდე მოღწეული საგალობლების მიხედვით, ქართული ორიგინალური სასულიერო პოეზიის სათავეებთან ასურეთიდან მოსული VI ს. მოღვაწე წმ. შიო მღვიმელი დგას [26, გვ. 124]. ზუსტდება საგალობელთა თარგმნის დაწყების დროც: იგი ღვთისმსახურების ქართულად შესრულებას უკავშირდება. შესაბამისად, საგალობელთა თარგმნა, სხვა აუცილებელ საღვთისმსახურო წიგნებთან ერთად, V ს-დან უნდა დაწყებულიყო.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა რამდენიმე ჰიმნოგრაფიულმა სკოლამ, რომელთა მოღვაწეობა უკავშირდება ამა თუ იმ მიმართულების საღვთისმსახურო პრაქტიკის დამკვიდრებას ქართულ სამონასტრო ცენტრებში ჩვენში და საზღვარგარეთ: 1.

პალესტინური, ანუ იერუსალიმურ-საბაწმიდური, და სინური ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელიც იერუსალიმურ საღვთისმსახურო პრაქტიკას მისდევს; 2. ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლა, რომელშიც კონსტანტინოპოლური და იერუსალიმურ-საბაწმიდური საღვთისმსახურო ტრადიციები შეზავებულია; 3. ათონის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც კონსტანტინოპოლურ საღვთისმსახურო პრაქტიკას მისდევდა. აქვე უნდა აღინიშნოს შავი მთის საღვთისმეტყველო სკოლის მოკრძალებული როლიც, რომელსაც მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ივირონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრთან; 4. შიომღვიმის, 5. გელათისა და 6. დავით გარეჯის საღვთისმეტყველო სკოლები; 7. მცხეთის საკათალიკოსოს, განსაკუთრებით ანტონ პირველის ჰიმნოგრაფიული სკოლა [33, გვ. 11-12].

ქრისტიანული რელიგია საქართველოში პალესტინიდან უნდა იყოს შემოსული. ამიტომ, სწორედ პალესტინის სხვადასხვა კუთხეში შეიქმნა ყველაზე ადრე საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრული კერები, აქედანვე გავრცელდა და დამკვიდრდა საქართველოში იერუსალიმური ტიპის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული პრაქტიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამით ხსნიან უძველესი ქართული ხელნაწერების პალესტინურ წარმომავლობას [37; 7]. ქართულად თარგმნილი უძველესი საგალობლები თავმოყრილია სინას მთის წმ. ეკატერინეს სახ. მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში, რომლის მნიშვნელობა ქართული და ბიზანტიური საღვთისმეტყველო ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილად გასააზრებლად დიდია, რადგან მათი ბერძნული ორიგინალები თითქმის მთლიანად დაკარგულია. ამან გაზარდა ქართული თარგმანების მეცნიერული ღირებულება. მთარგმნელობითი საქმიანობით განთქმული იყო იერუსალიმის, სინას მთის, ათონის ქართული მონასტრები, საქართველოში - ტაო-კლარჯეთის, მოგვიანებით გელათის, შიომღვიმის, გარეჯის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები.

ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე საგალობელი *ლექციონარში* შეჰქონდათ; ქართული ხანმეტი ლექციონარის არსებობას V ს-ში ვარაუდობენ. შემდეგში მას გამოეყო უძველესი იადგარი. იგი მაშინ შეივსო, როდესაც

ჟამისწირვებთან ერთად მასში შევიდა პოეტური მონოსტროფები//დასდებლები [9, გვ. 683]. ლექციონარის ჰიმნოგრაფიული მასალა და ფსალმუნი სრულდებოდა წაქცევით, რეჩიტატიულად [ტერმინი შეისწავლა მ. თარხნიშვილმა [21]; ხმა არ მიეთითებოდა, ტექსტი წარმოდგენილი იყო ერთი მუხლის დასაწყისით [13, გვ. 039]. ბიზანტიაში წართქმით//რეჩიტაციით შესრულებისთვის საგანგებო ეკვონეტიკური ნიშნები შეიქმნა; ასევე მოხდა ქართულშიც. რეჩიტაციით შესრულებას ადასტურებს რამდენიმე ქართული ხელნაწერი: *გელათის სახარება [XII ს. ფ. 279v]; ხელნ. Q-908; შიომღვიმის ტიპიკონი H-1349 [XIII ს.]*. რეჩიტაცია ყველგან ერთხმიანია, გალობა განსხვავებულია, ბერძნულში ერთხმიანია, ქართულში - მრავალხმიანი.

უძველესი იადგარი. VI ს. ქართულ ლექციონარს გამოეყო იადგარი; სამეცნიერო ლიტერატურაში იადგართა ორი ტიპია გამოყოფილი: 1. უძველესი იადგარი, რომელიც იერუსალიმურ-საბაწმიდური ღვთისმსახურების ტრადიციებს ასახავს; 2. ტოკლარჯეთის საღვთისმეტყველო-ლიტურატურულ სკოლაში ჩამოყალიბებული დიდი (ახალი) იადგარი. VI-VII სს. ბერძნულენოვან სამყაროში ინტენსიური ჰიმნოგრაფიული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად პოეტური ტროპარებისა და ახალი პოეტური ფორმების – სტიქარონ-კანონების დიდი რაოდენობა მოზღვადა, რაც პირველი ბერძნული დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულის შექმნით დასრულდა, რომელსაც *ტროპოლოგიონი* ეწოდა. ეს ბერძნული სახელწოდება და მისი ქართული შესატყვისი *იადგარი* შემოინახა X ს. სინური ქართული ხელნაწერის ერთმა მინაწერმა: *იადგარი ტროპოლოჯინ* [Sin. 11, 17v]. ტერმინი *იადგარი* ქართულში საშუალო სპარსულის გზით შემოსული ჩანს და *ხსოვნას*, *სახსოვარს*, *გახსენებას*, *მოგონებას* აღნიშნავს [26, გვ. 597] და მისი შემოღება დაეფუძნა გალობისათვის გამოიზნული რეპერტუარის ზეპირად ცოდნას.

ჩვენამდე იადგართა საკმაოდ ბევრმა ნუსხამ მოაღწია. ისინი X ს-ზე გვიან არ შექმნილა. იადგარი ქართული ღვთისმსახურების განვითარების ადრეული, იერუსალიმური ეტაპის დამახასიათებელი მოვლენაა. ე. მეტრეველმა სინური და პალესტინური წარმომავლობის იადგარები დააჯგუფა მათში მოთავსებული მასალის ხასიათისა და საეკლესიო

კალენდრების მონაცემთა გათვალისწინებით: 1. უძველესი იადგარი, გავრცელებული პალესტინაში IX ს. ბოლომდე, დაწერილი პროზით, კალენდრის მიხედვით უძველეს ქართულ იერუსალიმურ ლექციონარს ემთხვევა და მის ჰიმნოგრაფიულ დამატებას წარმოადგენს; ამ იადგარის თავდაპირველი პლასტი ქართულად თარგმნილია არაუგვიანეს VI ს. მეორე ნახევრისა. ამ ჯგუფის ხელნაწერებია Sin.18, Sin.40, Sin.41 და ჭილ-ეტრატის იადგარი H-2143. 2. VIII ს. იოანე დამასკელის მიერ ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმის შემდეგდროინდელი ახალი ტიპის იადგარი უძველესი იადგარისაგან განსხვავდება კალენდრით. საგალობლები დაწერილია ახალი ფორმით, ბიზანტიური ლექსით, იგივე რიტმული პროზით, ძლისპირთა მიხედვით. რამდენიმე ხელნაწერში ტექსტს მუსიკალურ-რიტმული პუნქტუაციის ნიშნები ახლავს. ამ იადგარების ბერძნული მოდელი VII-VIII სს. საბაწმიდის ჰიმნოგრაფთა წრეში შეიქმნა, ქართულად იგი უნდა თარგმნილიყო IX ს-ში. იადგარის ამ რედაქციამ განვითარების რთული გზა განვლო.

უძველესი იადგარის ტიპს განეკუთვნებიან, აგრეთვე, პალესტინური წარმომავლობის წვირმისა და იელის იადგარები. რედაქციულად ჭილ-ეტრატის, სინურ, წვირმისა და იელის იადგარებს ერთი რიგისად მიიჩნევენ, თუმცა, ცალკეული ნუსხა თავისებურია. უძველესი იადგარის ნუსხები ერთმანეთისაგან განსხვავდება სისრულით; არც ერთი მათგანი სრულად არ შემონახულა, მაგრამ ურთიერთმეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მისი არქეტიპული სახის რეკონსტრუქცია, რომლის ძირითად ნუსხად *უძველესი იადგარის* გამომცემლებმა ჭილ-ეტრატის იადგარი აიღეს [7]. ზოგიერთი იადგარის მინაწერში განსაზღვრულია მისი რაობა//დანაშნულება, კერძოდ, ისინი იხსენიებიან როგორც *იადგარი საზამთრომ* [Sin.1, 123v], *იადგარი საწელიწდომ* [Sin.65, 167v]; *იადგარანი დაჩხრეკილანი* [Sin.40]; *იადგარი საზამთრომ და საზატიკომ* [Sin.64, 159r] [3, გვ. 139]. უძველესი იადგარის თითქმის ყველა ნუსხა ორ საზღვარგარეთულ ქართულ საღვთისმეტყველო ცენტრშია შექმნილი: პალესტინურ არეალში - წმ. საბას მონასტერი, ხარიტონის ლავრა, პალავრა - და სინას მთის სამონასტრო კერებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც გაირკვა, რომ ეს ორი ცენტრი დამოუკიდებლად ქმნიდა უძველესი იადგარის

ერთმანეთისგან განსხვავებულ, მაგრამ ძირითადად ერთი ტიპის რედაქციას. უძველესი იადგარის მოქმედების ქრონოლოგიურ არეალში შექმნილ საგალობელს ფორმა, ე. ი. სალექსთწყობო სისტემა არ აქვს, იგი პროზაულია. ფორმაზე მსჯელობა შეიძლება X ს-დან, როდესაც ჰიმნოგრაფიაში ჩნდება წყობილი სიტყვით, იამბიკოთი და საერო პოეზიის ფორმებით [შაირითა და ფისტიკაურით] შესრულებული საგალობლები.

იადგარში მოთავსებული ჰიმნოგრაფიული მასალა მრავალფეროვანია: მონოსტროფული ტროპარები; სტიქარონები, რომლებიც რამდენიმე სტროფისგან შედგება; სრული და არასრული ჰიმნოგრაფიული კანონი. VIII ს. დამკვიდრდა ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც აგებულია 9 ბიბლიური გალობის მოდელზე. თითოეულ გალობას სახელი ბიბლიურის კვალობაზე ეწოდა პირველი სიტყვის/სიტყვების მიხედვით. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ ეს სახელწოდებები შემოინახა, ბერძნულში დაიკარგა და მხოლოდ რიცხვით აღინიშნებოდა. IX საუკუნიდან II გალობა ამოვარდა, მაგრამ X ს-ში აღადგინეს იოანე მინჩხმა და მიქაელ მოდრეკილმა, იგი გიორგი მთაწმიდლის *თვენშიც* გვხვდება. საბოლოოდ კი ქართულ ჰიმნოგრაფიაშიც დაიკარგა [28, გვ. 21-41]. ჰიმნოგრაფიულ კანონებს, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მეორე გალობა, დაერთვით მეათე [ფს. 148], რომელიც კანონის სტრუქტურული მოწესრიგებისათვის შეიქმნა.

ყოველ გალობას წინ უძღვის ძლისპირი, რომელიც გალობის პირველ ტროპარად ითვლება და მითითებულია დასაწყისი სიტყვით/სიტყვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მგალობელმა ისინი ზეპირად იცოდა. ძლისპირი მიუთითებდა საგალობლის კილოს, ანუ მელოდიას, რომლითაც სრულდებოდა იგი. ძლისპირი ლექციონარებში არ გვხვდება, მას ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეული ეტაპი არ იცნობს. გვხვდება უძლისპირო კანონებიც.

IX ს-დან იადგარში შეაქვთ ქართული ეკლესიის იმ წმინდანთა სახელზე შექმნილი საგალობლები, რომელთაც მსოფლიო ეკლესიის წმინდანის სტატუსი მიენიჭათ. მაგ., ჭილ-ეტრატის იადგარში [H-2123] პირველად შეიტანეს აბოსადმი მიძღვნილი საგალობელი. პალესტინასა და სინაზე მოღვაწე ქართველ ჰიმნოგრაფთაგან ცნობილია ბასილი საბაწმიდელის, ფილიპე ბეთლემელის, იოანე-ზოსიმეს, გეორგის სახელები [3,

გვ. 149-152; 26, გვ. 732-3; გვ. 857-8; 29, გვ. 163]. X ს-ში შეიქმნა ეროვნული ცნობიერებისა და მესიანური იდეის შემცველი იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი ოთხ სინურ ხელნაწერში დაცული საგალობელი *ქება და დიდება ქართულისა ენისა*.

პალესტინის ქართულ სამწიგნობრო-საღვთისმეტყველო კერებში ჩამოყალიბებულმა უძველესმა იადგარმა ასახა ღვთისმსახურების იერუსალიმური პერიოდის ბერძნული და ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების რამდენიმე საუკუნის ისტორია. უძველესი იადგარის არც ერთი ხელნაწერი არ არის ნევემირებული, არ აქვს რიტმული პუნქტუაციის ნიშნები. მასში დაცულ საგალობელთა უდიდესი ნაწილი ბერძნულიდანაა ნათარგმნი.

ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიულ სკოლას საფუძველი წმ. გრიგოლ ხანცთელმა ჩაუყარა. გიორგი მერჩულემ თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აღნიშნა მის მიერ *საწელიწდო იადგარის* დაწერის ფაქტი. პ. ინგოროყვამ მიქაელ მოდრეკილის იადგარში ავტორის სახელწაუწერლად შეტანილი საგალობლების ნაწილი გრიგოლ ხანცთელს მიაკუთვნა [23, გვ. 771], რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არ იქნა გაზიარებული. შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ საგალობელთა დიდი ნაწილი ბერძნულიდანაა თარგმნილი და მათი ავტორი იოანე დამასკელია. მისაღები ჩანს ის ვარაუდი, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარისათვის საფუძველი გრიგოლ ხანცთელის *საწელიწდო იადგარი* ყოფილიყო. გრიგოლს იგი უნდა შეეღვინა კონსტანტინოპოლში მოგზაურობის შემდეგ; ამ დროისათვის VIII ს-ში ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელისა და ანდრია კრიტელის რეფორმები უკვე დასრულებულია.

დიდი (ახალი) იადგარი. „საუნჯე X საუკუნისა“ [მ. ჯანაშვილი] – მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებული S-425 (978-988 წწ.) ამჟამად შეიცავს 544 გვერდს და 200-მდე საგალობელს. კრებულში მოთავსებულია ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები და ქართველი ჰიმნოგრაფების – იოანე მინჩხის, იოანე ქონქოზისძის, ეზრას, კურდანაძის, სტეფანე სანანოძისძე-ჭყონდიდელის, იოანე მტბვერის, თვით მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, რითაც იადგარი ანთოლოგიის ღირებულებას იძენს. ამას კრებულში ჩართული

ლიტერატურულ-ისტორიული ცნობების შემცველი ანდერძ-მინაწერები მიუთითებენ. იადგარი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საგალობლებს მუსიკალური ნიშნები ახლავს, ნევემირებულია, რითაც ჰიმნოლოგ მუსიკათმცოდნეთა ყურადღებას იმსახურებს. იადგარის შედგენის ისტორიას მიქაელ მოდრეკილი თავად გვიამბობს, მან შეკრიბა ქართული და ბერძნულიდან თარგმნილი მეხური ძლისპირები (S-425, 24r) და საგალობლები, რომლებიც კილოს სისწორისა და სანოტო ნიშნის მიუცთომლობით შეიტანა კრებულში (S-425, 262r). ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, რომ ნევემები პირველს მიქაელს არ დაუსვამს, ისინი გადმოტანილია ჩვენთვის უცნობი დედნებიდან; მიქაელის სიტყვები, რომ ქართულ ენაზე არსებული ნევემირებული საგალობლები იპოვა, მოწმობს ამ ტიპის ხელნაწერების უკვე არსებობას.

განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება ტერმინების *მეხელისა* და *მეხურის* სწორ ინტერპრეტაციას. კ. კეკელიძემ ამ ტერმინებში გამოყო ძირი *ეხოს*, რომელიც ბერძნული წარმომავლობისაა და ხმას ნიშნავს. ლ. ჯღამაიამ მიაკვლია ცნობას *მეხურის* შესახებ გიორგი მთაწმიდელის *თვენის* ორ ანდერძში. მან გაიზიარა კ. კეკელიძის მოსაზრება და *მეხური* ხმით შესასრულებელი საგალობლის აღმნიშვნელ მუსიკალურ ტერმინად მიიჩნია. ე. მეტრეველმა გამოკვლევაში *მეხელისა* და *მეხურის* რაობის განსაზღვრისას ყურადღება მიაქცია მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძს, რომელშიც ერთმანეთისაგან გარჩეულია ახალი და მეხური იადგარები, რომელთაც სახელები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აქვს შერქმეული. მან მელქისედეკისა და გიორგი მთაწმიდელის ცნობებზე დაყრდნობით *მეხური იადგარი* სასწავლო დანიშნულებისად მიიჩნია [30, 169].

ნევემირებული მხოლოდ რამდენიმე ქართული ხელნაწერია: Sin.1, Sin.14, მიქაელის იადგარი (S-425) და იორდანეს კრებული (A-603). მეხური იადგარის ნევემირება, ე. ი. საგალობელთა ნოტირება, იმას ნიშნავს, რომ მეხელები საგალობელთა მუსიკალურად გამწყობნი, პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ. მეხელს მეხური საგალობლის წერისას უნდა დაეცვა „კილოს სიმართლე და სისწორე“ და „უცთომელობა ნიშანთა“ [მიქაელ მოდრეკილი], „დასდებლის ძალა და შენაწევრება“ [გიორგი მთაწმიდელი]. მეხურ იადგარს

ქმნიდა მეხელი, რომელიც პოეტიც იყო კომპოზიტორიც. მეხური იადგარები XI ს-დან უკვე აღარ იქმნებოდა და მეხელთა მოღვაწეობის ხანაც დასრულდა [30; 39].

X-XI სს. მიჯნაზე საგალობლების დიდმა ნაწილმა იადგარებიდან გადაინაცვლა ახალი ტიპის ჰიმნოგრაფიულ კრებულებში – თვენებში, მარხვანებში, პარაკლიტონებში, რომლებიც იადგართა პარალელურად უკვე X ს-დან არსებობდა. ბერძნული ირმოლოგიონის კვალობაზე IX-X სს. ქართულად შეიქმნა *ძლისპირნი* და *ღმრთისმშობლისანი*. ბერძნულისათვის ამგვარი სახელწოდება უცნობია. *ღვთისმშობლისანის* გამოყენება ქართული მოვლენაა, რაც უნდა აიხსნას საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობით. ძლისპირთა უმთავრესი ფუნქცია იყო ბიბლიურ გალობებსა და სხვადასხვა ჰიმნოგრაფიულ კანონებს შორის კავშირის დამყარება.

ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში VIII ს-ში იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელისა და ანდრია კრიტელის მოღვაწეობის დროს შემუშავდა კრებული *ოქტოიხოსი*, ქართულად *რვაღმანი*, რომელშიც მოთავსებულია შვიდეულის დღის საგალობლები. ბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში VIII ს-მდე ყველა საგალობელი ოთხ ხმაზე იქმნებოდა და სრულდებოდა, VIII ს-დან მას დაემატა ოთხი ხმა, მათ ქართულში *გუერდნი/გერნი* ეწოდებოდა. ქართულ *ოქტოიხოსში* მოთავსებული იყო პირველი ოთხი, ძირითადი ხმის საგალობლები და მას ეწოდა *ღმანი*, ხოლო მეორეში, *პარაკლიტონში* [*ნუგეშინისსაცემელი*], ოთხი დამატებითი [პლაგალური] ხმის საგალობლები განთავსდა, მას ეწოდა *გუერდნი*. პარაკლიტონის საბოლოო რედაქცია გიორგი მთაწმიდელის თარგმანით დამკვიდრდა.

X ს-ში ცალკე კრებულად ჩამოყალიბდა ქართული ორიგინალური *მარხვანი*, რომლის პირველი რედაქცია იოანე მინჩხს ეკუთვნის [5], ხოლო მეორე რედაქცია - გიორგი მთაწმიდელს. მარხვანის გაგრძელებაა „*ზატიკნი*“, დღესასწაულებზე შესასრულებელ საგალობელთა კრებული [26, გვ. 595]. მათი ცალ-ცალკე კრებულებად ჩამოყალიბებამდე დიდმარხვის, აღდგომისა და ბრწყინვალე შვიდეულის საგალობლები ერთ კრებულში იყო გაერთიანებული და *ხუედრნი* ერქვა, რომლის თავდაპირველი ნიმუში ქართულ

ჰიმნოგრაფიულ კრებულთა შორის ჭილ-ეტრატის უძველეს იადგარშია დაცული.

ათონის ჰიმნოგრაფიული სკოლა. იადგართა ბუნებრივი გაგრძელება იყო *თვენის* სახელით ცნობილი იადგარისგან თვისებრივად განსხვავებული ჰიმნოგრაფიული კრებული. თვენის პირველი რედაქცია წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის. იგი გარდამავალი საფეხურია იადგარებიდან გიორგი მთაწმიდელის თვენის რედაქციამდე. გიორგი მთაწმიდელმა საეკლესიო კალენდრისა და *დიდი სვინაქსარის* მასალის საფუძველზე შეადგინა 12 თვის საგალობელთა კრებული *თთუენი*. ძველ კრებულებში კალენდარული თანმიმდევრობით სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით მოთავსებული ყოველი თვის საგალობლებიდან მან გამოარჩია საუკეთესონი, შეუდარა ბერძნულ დედნებს, პოეტურად და მუსიკალურად გააწყო ისინი. რაც აკლდა, თავად თარგმნა ბერძნულიდან და ასე შექმნა სრული და უნაკლულო *თთუენი*. გიორგი მცირემ გიორგის თვენს უწოდა „*გარგანი კათოლიკე ეკლესიისაჲ, შემკული თუალითა და ანთრაკითა*“. სისრულით ამ ტიპის თვენი ბერძნულ ენაზე არ არსებობდა [26, გვ. 226]. გიორგის *თვენის* წყაროები მისსავე ანდერძებშია დასახელებული: 1. ანტიოქიაში წმ. პეტრე მოციქულის სახელობის ტაძარში დაცული *სათუეე*; 2. წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში დაცული თვენი; 3. კონსტანტინოპოლის აია სოფიის მონასტრის თვენი. დადგინდა, რომ გიორგი მთაწმიდელი ანგარიშს უწევს იერუსალიმურ-საბაწმიდურ ტრადიციასაც, რადგან საქართველოში XII საუკუნეშიც გრძელდებოდა იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური საღვთისმსახურო წესების თანაარსებობა [25, გვ. XV]. *იადგარში* შეტანილი იყო ქართველ წმინდანთა სახელები: წმ. ნინო, წმ. შუშანიკ დედოფალი, წმ. აბო თბილელი, წმ. კონსტანტი კახი. გიორგიმ *თვენში* შეიტანა იოდასაფის, წმ. ნინოს, წმ. ილარიონ ქართველისა და წმ. ეფთვიმესადმი მიძღვნილი საგალობლები. გიორგის *თვენმა* ლიტურგიკული პრაქტიკიდან განდევნა მანამდე არსებული ჰიმნოგრაფიული კრებულები და იგი, XII ს. I მეოთხედში არსენ ბერის მიერ შესწორებული, დარჩა ერთადერთ მოქმედ კრებულად.

გიორგი მთაწმიდელმა დიდი დრო მოანდომა *პარაკლიტონის* ბერძნულიდან ქართულად თარგმნას, რომელშიც რვა ხმის საგალობლები განლაგებულია კვირისა და სადა დღეების მიხედვით. მისი ავტოგრაფის შედგენის დროდ 1057-1060 წლებია მიჩნეული [29, გვ. 18-26]. გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის სხვა ჰიმნოგრაფიული კრებულებიც: *ზატიკნი*; *დიდნი მარხვანი*, რომელშიც ანდრია კრიტელის დიდი კანონის თარგმანი შეიტანა; *სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი*, ახალი აღთქმისთვის დართული იამბიკოები.

ივირონის მონასტერში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები: ბასილი ბაგრატის ძე მთაწმიდელი, ზოსიმე და ეზრა მთაწმიდელები; გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საგალობლები გიორგის მოძღვარს გიორგი შავმთელს შეუქმნია [მეტრეველი].

შავ მთაზე ეფრემ მცირემ შეადგინა *მარხვანის* ახალი რედაქცია, შექმნა იამბიკოები. არალიტურგიკული ჰიმნოგრაფიიდან მან თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის გნომური ლექსები და გააერთიანა *ასეული იამბიკოს* სახელწოდებით [15]. აქვე მოღვაწეობდა არალიტურგიკული საგალობლების ავტორი თეოფილე ხუცესმონაზონი.

ჰიმნოგრაფია გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში წარმმართველი არ ყოფილა, მაგრამ არსენ იყალთოელი, იეზეკიელი, იოანე პეტრიწი, პეტრე გელათელი წერდნენ სახისმეტყველებითად და ვერსიფიკაციულად საყურადღებო იამბიკოებს. XII-XIII სს. შეიქმნა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სიღრმით და სიმბოლური აზროვნებით გამორჩეული საგალობლები: დავით აღმაშენებლის *გალობანი სინანულისანი*, დემეტრე-დამიანეს იამბიკოები, ნიკოლოზ გულაბერისძის *გალობანი სუეტისა ცხოველისანი*, თამარ მეფის სახელით ცნობილი იამბიკოები *ცასა ცათასა და ქალწულებრივთა*, იოანე ანჩელის *გალობანი ანჩისხატისანი*, იოანე შავთელის *გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი*, არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის, წმ. ნინოს, შიო მღვიმელის თემაზე, აბუსერისძე ტბელის ორი, საბა სვინგელოზის ერთი [6] და არსენ ჭყონდიდელის ექვსი ჰიმნოგრაფიული კანონი.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ახალი ეტაპია XVII-XVIII სს., როდესაც საგალობლები ეროვნულ წმინდანთა თემაზე შეიქმნა. ამ საქმის მესვეური დავით გარეჯის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრი იყო. XVII-XVIII სს. შეიქმნა ნიკოლოზ მაღალაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელის, ბესარიონ ორბელიანის, მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის, იესე ერისთავის, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის, რომანოზ ერისთავის, ანტონ კათოლიკოსის საგალობლები. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის კრებული *სადღესასწაულო*, რომლის პირველი რედაქცია დავით გარეჯის ლავრის საღვთისმეტყველო სკოლის მამამთავარს ონოფრე გარეჯელს [მაჭუტაძეს] ეკუთვნის [A-160, 1699 წ.]. მასში X-XII სს. საგალობლებიც დასტურდება. გამოვლინდა საღვთისმეტყველო ერთმანეთისაგან განსხვავებული რედაქციები: ე. წ. ტრადიციული, ბესარიონ ორბელიანის, დომენტი კათოლიკოსის, დომენტი ჯანდიერის, ეფთვიმე ბარათაშვილის, ალექსი მესხიშვილის, ანტონ კათოლიკოსისა [8].

საგალობელთა პოეტიკა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში საგალობლის რამდენიმე სალექსწყობო ფორმა დასტურდება: 1. ე. წ. პროზაული საგალობელი; 2. სტროფული საგალობელი, რომლის საზომი, თემატიკა და მელოდია ძლისპირითაა განსაზღვრული და 3. იამბიკო. ე. წ. პროზაული ფორმები რიტმულად ორგანიზებულია, მაგრამ სალექსო საზომი არ აქვს. ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა ვერსიფიკაციული კანონზომიერებების დადგენისას საგალობლის სამი ფორმა გამოიყო: 1. *სილაბურ-მუხლედოვანი ლექსი*, ანუ ძველ-ქართული კლასიკური ლექსი; 2. *სილაბური უკვეთელი ლექსი*; 3. *წყობილი სიტყვა რიცხუდით*, მოკლედ - *წყობილი სიტყვა*, თავისუფალი უმარცვლედო ლექსი [23, გვ. 557-558]. იამბიკურ საგალობლებში მეტრული პუნქტუაციის, წერტილების მიხედვით შენიშნულია, რომ ყოველ ტროპარში ყოველი სტრიქონი თანაბარმარცვლედოვნების პრინციპითაა აგებული.

სტროფული ლექსი, 3. ინგოროყვას ტერმინოლოგიით, სილაბური უკვეთელი ლექსი, საგალობლის კლასიკური ფორმაა, რომელიც სტროფების მარცვალთა თანაბარზომიერებას ემყარება. ქართულ ჰიმნოგრაფიაში იგი ბერძნულის კვალობაზე შემოვიდა და ძლისპირ-ტროპართა

სისტემას დაეფუძნა. მასში გამოიყენება სალექსთწყობო საშუალებები: რეფრენი, ანაფორული კომპოზიცია, ეფფონია და სხვანი, მაგრამ ლექსად არ აღიქმება. არც იამბიკოა ქართული ეროვნული სალექსთწყობო სისტემის შემადგენელი ნაწილი. იამბიკოს ტაეპები იშვიათადაა გართიმული, უმეტესად ღარიბი, ემბრიონალური რითმაა. რითიმული ფერადოვნებით გამოირჩევიან ბორენასა და დემეტრე-დამიანეს იამბიკოები, რომლებშიც რითმა ორ და სამმარცვლიანია. ისინი იამბიკოს კლასიკურ ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც მათი ღრმა სიმბოლურობითაც აიხსნება. ქართულ ჰიმნოგრაფიაში გამოყენებული ქართული ეროვნული სალექსთწყობო ფორმა თექვსმეტმარცვლიანი შაირისა ჰიმნოგრაფიაში მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება. იგივე შეიძლება ითქვას ათმარცვლიან საზომზეც, რომელიც ოცმარცვლიანი ლექსის ერთ-ერთი სახეობაა. X-XII სს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში გვაქვს თექვსმეტმარცვლიანი საზომით დაწერილი რამდენიმე ნიმუში, მაგ., ფილიპესა და გეორგის საგალობლები [3].

საგალობელთა მუსიკალური ბუნება. ჰიმნოლოგიური პრობლემატიკის ერთ-ერთი პრინციპული საკითხია ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა, ქართული გალობის კილოების არსებობა, რაც უკავშირდება ქართული გალობის ეროვნულ საფუძველზე განვითარებას. ქართული გალობა, ბერძნულისაგან განსხვავებით, მრავალხმიანია. მრავალხმიანობა უძველესი ქართული მუსიკის სააზროვნო კატეგორიაა.

ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი: 1. ქართული გალობის მრავალხმიანობა X საუკუნის შემდგომი მონაპოვარია; 2. მუსიკათმცოდნეთა შეხედულებით, ქართული საეკლესიო გალობა ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეული ეტაპიდანვე უნდა ყოფილიყო ორიგინალური, მრავალხმიანი. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული მრავალხმიანობა, როგორც ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში წინარექრისტიანული ქართული ლექსის უძველესი სალექსო საზომები, თექვსმეტმარცვლიანი შაირი და ფისტიკაური; როგორც ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში – ანტიკური, ძველბერძნულ-რომაული არქიტექტურის ფორმები. მრავალხმიანობა და ქართული ლექსის საზომების საეკლესიო

გალობაში შესვლა ქართული ეროვნული ფენომენის სიმბოლურეზე მეტყველებს.

ბერძნული და ქართული ნევმური სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება. ბერძნულ ხელნაწერებში საგალობელს ნევმები მიწერილი აქვს სტრიქონსზემოთ ერთ ხაზზე, ქართულში ნევმები განლაგებულია სტრიქონსზემოთ და სტრიქონსქვემოთ, რაც ქართული გალობის მრავალხმიანობას აჩვენებს. ივანე ჯავახიშვილს ქართული გალობის მრავალხმიანობა უეჭველ ფაქტად მიაჩნდა X ს-ში მაინც, თუ უფრო ადრე არა [38]. ქართული გალობის მრავალხმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ყალიბდება X-XII სს., იგი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური თვალსაზრისით განაზოგადა იოანე პეტრიწმა XII ს-ში. ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, რომელსაც ივირონის მონასტრის წინამძღვარმა დაუმტკიცა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა და სამოციქულო წილხვედრილობა. წმიდა მამა თავის პოზიციას ასე თამამად ვერ გამოხატავდა, ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა დიდი ხნის დაკანონებული რომ არ ყოფილიყო. დავიმოწმებ კიდევ ერთს: 1065 წელს კონსტანტინოპოლში ჩასულმა გიორგიმ ბიზანტიის იმპერატორს წარუდგინა 80 ობოლი ბავშვი, რომლებმაც მის საამებლად გალობა ბერძნულად შეასრულეს, ე. ი. ერთ ხმაში იგალობეს, რაც იმპერატორმა აღნიშნა კიდევ. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერატორისთვის ცნობილი იყო ქართული გალობის ბერძნულისაგან განსხვავებული თვისება - მრავალხმიანობა. ამას მოწმობს გიორგი მერჩულის აქცენტირებული სიტყვებიც - *ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და კარიელისონი ბერძულად ითქუმის*, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ქართულ და ბერძნულ ლიტურგიკასა და გალობის განსხვავებულ ხასიათს. ქართულად ჟამისწირვა მხოლოდ ქართულენოვნებას არ გულისხმობს, იგი ქართული ბუნების მინიჭებას გულისხმობს ქართული ჟამისწირვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილისათვის - გალობისათვის, რაც მის მრავალხმიანობაში გამოიხატებოდა; *კარიელისონის ბერძულად თქუმა [უფალო შეგვიწყალებ]*, ბერძნული

ტრადიციის კვალობაზე მის შესრულებას - ერთ ხმაში გალობას ნიშნავს [34, 23-54].

XII ს-ში ქართული გალობის მრავალხმიანობის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ბუნება განაზოგადა იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსის თხზულების ქართული თარგმანისათვის დაწერილ *განმარტებათა ბოლოსიტყვაში*, რომელშიც პეტრიწმა ქართულ გალობაში სამი ხმა გამოყო: *მზახრ* (პირველი), *ჟირ* (მეორე), *ბამ* (მესამე).

ჰიმნოგრაფიული ტექსტის გალობისას *ხმის დადების* ტექნიკამ განაპირობა პოეტური ტექსტის სხვადასხვაგვარი რიტმული დაყოფა; X-XI ს-ის ქართულ ჰიმნოგრაფიაში სხვადასხვა მელოდიური სტილის - *მცირედგამშვენებულის*, *გამშვენებულისა* და *ჰრელის* - თანაარსებობაა ნავარაუდები, რის საფუძველსაც XIII ს-ის 30-იანი წლების ხელნაწერის A-85-ის მონაცემები იძლევა [A-85, 238v]. კერძოდ, აქ დადასტურებულია გამშვენებული სტილის ყველაზე განვითარებული ნაირსახეობის - *ჰრელის* არსებობა, რომლის არსი და რაობა სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილი არ არის. ამ პერიოდში ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარეობდა რეფორმა და მკვიდრდებოდა ახალი მელოდიური სტილი, რაც იოანე კუკუზელის სახელს დაუკავშირდა [31, გვ. 63-64; 35, გვ. 103]. მელოდიები გამდიდრებულია, მაგრამ კანონიკური სტრუქტურა მკაცრადაა დაცული. ამ ახალ მელოდიურ სტილს კეთილხმოვანი - *კალოფონური* სტილი ეწოდება [35, გვ. 103]. XIX ს. მგალობლებმა ზეპირად იცოდნენ საგალობელთა მთელი წლის რეპერტუარი, მნემონური ნიშნები კი მათ სჭირდებოდათ მელოდიის დამახსოვრების მნემოტექნიკურ საშუალებად. ალექსანდრე და გაბრიელ ეპისკოპოსების თაოსნობით ქართული საეკლესიო საგალობლები ნოტებზე გადაიღეს ფილ. ქორიძემ, ძმებმა კარბელაშვილებმა, რაჭ. ხუნდაძემ, ექვთ. კერესელიძემ.

ქართული ჰიმნოგრაფია არაა მხოლოდ ქართული საღვთისმეტყველო კულტურის კუთვნილება. იგი მნიშვნელოვანია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, როგორც, ერთი მხრივ, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის ეროვნული სამგალობლო ტრადიციების გამოხატულება და, მეორე მხრივ, ზოგადად ქრისტიანული საღვთისმეტყველო-სამგალობლო კულტურის შემადგენელი

ნაწილი. ქართული საგალობელი, ლოგოსისა და მელოსის ნაზავი, ეროვნულ ფესვებს მიესადაგა და ფორმის თვალსაზრისით ერთდროულად წარმოჩნდა, როგორც ქართული მწერლობის უძველეს ტრადიციებზე დაფუძნებული და როგორც სიახლე, ქრისტიანული სიმბოლოებით გაჯერებული შინაარსობრივ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. ქართული ჰიმნოგრაფიის მდიდარმა სამეტყველო ენამ დიდი როლი შეასრულა ქართული მხატვრული ლიტერატურის პოეტური ენის განვითარებაში, ქართულმა სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ აითვისა ჰიმნოგრაფიაში გამოყენებული ბიბლიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურის პრინციპები, გამომსახველობითი საშუალებები, რომლებმაც გაამდიდრეს ქართველ მწერალთა მხატვრული თვალთახედვა და გაზარდეს მათი სააზროვნო სივრცე.

დამოწმებული ლიტერატურა:

წყაროები:

1. *ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით*, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, მ. ჯანაშვილის რედ., ტფ., 1901.
2. ინგოროყვა პ., *ძველქართული სასულიერო პოეზია*, I, თბ. 1913.
3. Март Н. Я., *Описание рукописей Синайского монастыря*, Тб. 1940.
4. *იოანე მინჩხის პოეზია*, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბ. 1987.
5. *ნევმირებული ძლისპირნი*, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ. 1982.
6. სულავა ნ., *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია*, თბ. 2003.
7. *უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელენე მეტრეველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა, თბ. 1980.
8. ქავთარია მ., *ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან (XVII-XVIII სს)*, თბ. 1977.

9. *ქება და დიდება ქართულისა ენისა*, გამოსაცემად მოამზადა ტ. ფუტყარაძემ, თბ. 2000
10. *ძლისპირნი*, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ. 1971
11. *ჭილ-ეტრატის იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა, ა. ჯიშიაშვილმა, თბ. 1977
12. ჯავახიშვილი ი. *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბ. 1947.
13. ჯღამაია ლ., *გიორგი ათონელის „თვენი“*, *სექტემბერი*, თბ. 2007.

სამეცნიერო ლიტერატურა:

14. ბეზარაშვილი ქ., „ეგრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსწყობის საკითხები“, *ფილოლოგიური ძიებანი*, II, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც., თბ. 1995.
15. ბეზარაშვილი ქ., „ეგრემ მცირის შეხედულებები კლასიკური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართების შესახებ“, *ლიტერატურული ძიებანი*, XIX, თბ. 1998.
16. გაწერელია ა., „ქართული ჰიმნოგრაფიისა და ვერსიფიკაციის საკითხები“, *რჩეული ნაწერები*, 3(2), ვერსიფიკაცია, თბ. 1981.
17. გრიგოლაშვილი ლ., *დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“*, თბ. 2005.
18. დოლიძე დ., „დოგმა და ტრადიცია საეკლესიო მუსიკაში“, *ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია*, თბ. 2001.
19. დულაშვილი ე., *ღვთისმშობლის აღმნიშვნელი ეპითეტები იოანე დამასკელის ღვთისმშობლის მიძინებისა და შობის კანონებში*, მრავალთავი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც. თბ. 2005.
20. ერქვანიძე მ., „ქართული მრავალხმიანობის შესახებ“, *სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები, ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული, მიძღვნილი ქრისტიანობის 2000 წლისთავისადმი*. საერთაშორისო კონფერენციის მასალები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, თბ. 2001.

21. თარხნიშვილი მ., *წერილები*, კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო თამარ ჭუმბურიძემ, თბ. 1994.
22. იმედაშვილი გ., *ქართული კლასიკური საგალობელი და პოეტური მეტყველების პრობლემა*, სადოქტორო დისერტაცია, თბ. 1962.
23. ინგოროყვა პ., *გიორგი მერჩულე*, თბ. 1954.
24. კარბელაშვილი პ., *ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა*, ტფილისი 1898.
25. Кекелидзе К. С., *Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение*, Тифлис 1908.
26. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბ. 1960.
27. კეკელიძე კ., „მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნებები ქართული მწერლობის შესახებ“, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბ. 1956.
28. კვირიკაშვილი ლ., *ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია*, მეცნიერება, თბ. 1982.
29. ლოლაშვილი ი., *ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი*, თბ. 1982.
30. მეტრეველი ე., „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის“, *შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც., თბ. 1966.
31. ნაკუდაშვილი ნ., *ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა*, თბ. 1996.
32. „სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები“. *ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები*. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის გამოც., თბ. 2001.
33. სულავა ნ., *ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა*, თბ. 2006.
34. სულავა ნ., „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“, *ლიტერატურული ძიებანი*, XXIV, თბ. 2003.
35. *ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია*, თბ. 2001.
36. ყაუხჩიშვილი ს., *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, თბ. 1973.

37. ხევსურიანი ლ., ჯღამაია ლ., „X საუკუნის დიდი იადგარის ერთი ნუსხის შესახებ“, *მრავალთავი, XVIII*, თბ. 1999.
38. ჯავახიშვილი ი., „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, *თბზ., XI*, თბ. 1998.
39. ჯღამაია ლ., „მეხურისა“ და „მეხელის“ შესახებ“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3*, 1962.